

ზოგადი პრევენციული ღონისძიებები	
<p>სხვადასხვა კულტურას შორის შემწყნარებლობის გაძლიერების მიზნით კულტურათაშორისი დიალოგების წარმართვა, აგრეთვე საზოგადოების ფარგლებში თანამშრომლობის შესაძლებლობების განსაზღვრა იმ რაიონებში, სადაც საზოგადოებაში არსებული განხეთქილება წარმოადგენს ძალადობრივი ექსტრემიზმის მამოძრავებელ ფაქტორს.</p>	<p>მედია მუშაკებისთვის ძალადობისა და დამაბულობის ინციდენტების პროფესიონალურად გაშუქების სწავლება იმისათვის, რომ თავიდან აიცილონ არაჯანსაღი სენსაცია, კონკრეტული თემების სტიგმატიზაცია ან თემის ფარგლებში განხეთქილების ესკალაცია.</p>
<p>თემის ლიდერებში კონფლიქტების მოგვარების უნარის გაძლიერება. ამ ღონისძიების მიზანია ადგილობრივად არსებული დამაბულობის აღმოფხვრა, საერთო პრობლემებსთან დაკავშირებით კონსენსუსის მიღწევა და პრობლემების გადასაჭრელად ძალისხმევების გაერთიანება იმ რეგიონებში, სადაც თემების ფარგლებში არსებული კონფლიქტები წარმოადგენს ძალადობრივი ექსტრემიზმის მამოძრავებელ ფაქტორებს.</p>	<p>ძალადობრივი ექსტრემიზმით გამოწვეული საფრთხის კვლევა კონკრეტულ გარემოში, აგრეთვე იმ კონკრეტული რეგიონების და გარემოებების შესწავლა, რომლებიც დგანან რისკის წინაშე და ყველაზე მეტად საჭიროებენ ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების პროგრამებს.</p>
<p>რელიგიური ლიდერების დახმარება ძალადობრივი ექსტრემისტების მხრიდან რელიგიის ექსტრემისტული ინტერპრეტაციის პრობლემის აღმოფხვრაში, უფრო შემწყნარებლური და ზოგადად დამკვიდრებული რელიგიური პრაქტიკის დახმარებით, იმ რაიონებში, სადაც რელიგიური მოტივები გამოიყენება ძალადობრივ ექსტრემისტულ ჯგუფებში ხალხის გადაბირებისთვის.</p>	<p>ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების ღონისძიებების გაუმჯობესება მთავრობის, უსაფრთხოების სამსახურების, სამოქალაქო საზოგადოების და ადგილობრივ დონეებზე, მხარდაჭერის და შესაძლებლობების გაძლიერების გზით.</p>

Commented [A11]: Remove this from the final version – Research is not an intervention in itself hence it is best to avoid this to not cause any confusion.

<p>მართლმსაჯულებასა და იურიდიულ დახმარებასთან წვდომის და მართლმსაჯულების სისტემის ეფექტიანობის გაუმჯობესება თემების ფარგლებში, როდესაც აღნიშნული საკითხები წარმოადგენს ძალადობრივი ექსტრემიზმის მამოძრავებელ ფაქტორებს.</p>	<p>ახალგაზრდებს შორის მედეგობის გაძლიერება საგანმანათლებლო რესურსების გამოყენებით. რესურსები იკვლევენ ცრურწმენებსა და იდენტობასთან დაკავშირებულ პრობლემებს, ხელს უწყობენ კრიტიკული აზროვნების და ციფრული წიგნიერების უნარების ჩამოყალიბებას იმ შემთხვევაში, როდესაც არსებული პრობლემები ხელს უწყობენ მოწყვლადობას რადიკალიზაციის მიმართ.</p>
<p>ძალადობრივ ექსტრემიზმზე რეაგირების მიზნით ცნობიერების დონის ამაღლება და შესაძლებლობების გაძლიერება საგანმანათლებლო გარემოში ახალგაზრდებთან, მასწავლებლებთან, პროფესორებსა და შესაბამის ინსტიტუციებთან თანამშრომლობის გზით.</p>	<p>პოლიციასა და საზოგადოებას შორის ურთიერთდობასა და პატივისცემაზე დამყარებული ურთიერთობების ჩამოყალიბება იმ შემთხვევებში, როდესაც ცუდი ურთიერთობები წარმოადგენს ძალადობრივი ექსტრემიზმის მამოძრავებელ ფაქტორებს.</p>
<p>კონკრეტული პრევენციული ღონისძიებები</p>	
<p>სოციალური კუთვნილების წახალისება მარგინალიზებულ, სოციალურ ჯგუფებში მოზიდვისა და მონაწილეობის გზით, როდესაც ეს ჯგუფები აღმოჩნდებიან უფრო დაუცველნი რადიკალიზაციისგან გარკვეული მიზეზების გამო.</p>	<p>მოწყვლად მოზარდებსა და ახალგაზრდებში კრიტიკული მნიშვნელობის ციფრული და მედია წიგნიერების პოპულარიზაცია, ყოველდღიური ცხოვრების, თვითმყოფადობის, რელიგიის, სოციალური თუ პოლიტიკური საქმიანობის შესახებ ძალადობრივი ექსტრემიზმის ნარატივების მიმართ მედეგობის გამომუშავების მიზნით.</p>

Commented [A12]: Similar explanation as above. This is simply to clarify it to the facilitators, which then can clarify it further to the participants.

Commented [A13]: Keyword here being “marginalized youth”

კონკრეტული პრევენციული ღონისძიებები	
<p>მოწყვლადი პირების მედეგობის გაძლიერება და მათთვის დახმარების აღმოჩენა იმისათვის, რომ გამოიმუშაონ სტრესის მოხსნის, ემოციების მართვის, რადიკალიზაციასა და თანატოლების მხრიდან ზეწოლასთან გამკლავების, აგრეთვე კონფლიქტების მოგვარების უნარები არამალადობრივი ქმედებების მეშვეობით.</p>	<p>სპორტის, ხელოვნების და სხვა აქტივობების დახმარებით მოწყვლად ახალგაზრდებს შორის ურთიერთობების დამყარება, აგრეთვე საგანმანათლებლო სესიების შეთავაზება, სოციალურ თუ პოლიტიკურ საკითხებზე რეალური შეხედულებების ჩამოყალიბების მიზნით.</p>
<p>მოწყვლადი ახალგაზრდების დახმარება რადიკალიზაციის გამომწვევი მიზეზების, ნიშნების და შედეგების გაცნობიერებაში. ამგვარი დახმარებით ახალგაზრდები აგრეთვე შეძლებენ იმ ფაქტების გააზრებას, თუ როგორ შეიძლება ადამიანმა თავი დააღწიოს ასეთ ცხოვრების წესს ყოფილი ექსტრემისტების მიერ ვიდეომტკიცებულებების ჩვენების გზით.</p>	<p>ახალგაზრდებისა და ახალგაზრდული ჯგუფების ტრენერების ქსელის შექმნა, რომლებიც მომზადებულნი არიან რადიკალიზაციის პრევენციისთვის და წარმოადგენენ ძალადობრივი ექსტრემიზმის იდეების მიმართ მოწყვლადი ახალგაზრდების მაგალითებს.</p>
<p>მოწყვლადი თემებიდან ან ყოფილი ძალადობრივი ექსტრემისტებისგან მიღებული ადგილობრივი მაგალითების გამოყენება, თემებში პოლარიზაციის და რადიკალიზაციის თავიდან აცილების მიზნით, მოწყვლად მოქალაქეებს შორის დიალოგის წახალისების და პრევენციული ღონისძიებების ორგანიზების გზით.</p>	<p>პატიმრობაში მყოფი, ექსტრემისტულ შეხედულებებში შემჩნეული მამებისა და დედებისთვის (რომელთაც შესაძლოა ეს შეხედულებები შვილებისთვის გადაეცათ) ჩარევის ღონისძიებების შეთავაზება. ეს მათ დაეხმარება პოზიტიური ცხოვრებისეული დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში. აგრეთვე მშობელთა გაკვეთილების ჩატარება, მათი შვილების რადიკალიზაციის თავიდან აცილების მიზნით.</p>

Commented [A14]: Here the assumption is that because they are imprisoned, they may be already vulnerable

ადრეულ ეტაპზე ჩარევა / გადარწმუნება	
<p>ცხელი ხაზის შექმნა მშობლებისა და საზოგადოების სხვა წევრებისთვის, რომლებიც გამოთქვამენ შეშფოთებას მათ გარემოცვაში მყოფი პირის რადიკალურ განწყობასთან დაკავშირებით.</p>	<p>პოლიციის და საპატიმრო ინსტიტუციების თანამშრომელთა ცნობიერების დონის გაზრდა რადიკალიზაციის ნიშნების ადრეულ ეტაპზე ამოსაცნობად, ასეთი ნიშნების აღქმის და შეფასების შესაძლებლობების გაძლიერების გზით.</p>
<p>იმ ადამიანების პირადი გამოცდილებიდან ისტორიების ჩაწერა და გავრცელება, რომლებიც ადრე იყვნენ დაკავშირებულნი ან დაზარალებულნი ძალადობრივი ექსტრემიზმისგან, სამიზნე აუდიტორიისაკენ მიმართული ძალადობრივი ექსტრემისტების არაკეთილსინდისიერი პროპაგანდის გამოსავლენად.</p>	<p>შესაბამისი მეთოდოლოგიის შემუშავება იმ მასწავლებლების მიმართ რეკომენდაციების და მხარდაჭერის უზრუნველყოფის მიზნით, რომლებიც აღმოჩნდებიან კლასებში რადიკალიზაციის პრობლემის წინაშე.</p>
<p>რადიკალიზაციის ადრეულ ეტაპზე ჩარევა სოციალურ მუშაკებთან, ახალგაზრდების საკითხებზე მომუშავე სპეციალისტებთან, ფსიქიატრიული დაწესებულებების ექთნებთან და პოლიციასთან თანამშრომლობის გზით.</p>	<p>ყურადღების გამახვილება იმ ადამიანებზე, რომლებიც ინტერნეტში ეძებენ ძალადობრივი ექსტრემისტული ხასიათის გზავნილებს და ამისამართებენ YouTube პლატფორმაზე სათანადო სიფრთხილით შერჩეულ ვიდეორგოლებზე. ეს ღონისძიებები ძალადობრივი ექსტრემისტული ჯგუფების მიერ გავრცელებულ გადაბირების მითებს ამსხვრევენ.</p>

ჩამოშორება და/ან დერადიკალიზაცია	
<p>შესაბამისი სტრატეგიის განხორციელება იმ რადიკალურად განწყობილი ადამიანების მხარდასაჭერად, რომლებმაც უარი თქვეს ძალადობრივ ექსტრემისტულ იდეოლოგიაზე. აღნიშნული მხარდაჭერა გულისხმობს ოჯახური კავშირების გამყარებას, მათთვის სამსახურის პოვნასა და პოზიტიურ სოციალურ ჯგუფებში გაწევრიანებაში დახმარების აღმოჩენას.</p>	<p>ძალადობრივი ექსტრემისტული ჯგუფებიდან დაბრუნებული პირებისთვის ინდივიდუალური სწავლების და კონსულტაციის უზრუნველყოფა, აგრეთვე ძალადობრივი ექსტრემისტული ჯგუფების მიერ მათი ექსპლუატაციის მეთოდებისა და მათ მიერ ჩადენილი დანაშაულების გამოაშკარავება.</p>
<p>რადიკალიზაციის პროგრამების მაუწყებლობა იმ რაიონებში, სადაც მოქმედებენ ძალადობრივი ექსტრემისტული ჯგუფები. ამ პროგრამების მიზანია ძალადობრივი ექსტრემისტების მიერ იარაღის დაყრის წახალისება და არსებული სამთავრობო დემობილიზაციის პროგრამების შესახებ ინფორმირება.</p>	<p>რადიკალურად განწყობილი ან ძალადობრივი ექსტრემიზმის ხასიათის დანაშაულისთვის მსჯავრდებული პატიმრებისთვის პროგრამის შემუშავება, რომელიც მათ საშუალებას მისცემს, გადააფასონ თავიანთი მსოფლმხედველობა და დაამყარონ შინაარსიანი ურთიერთობები იმ პირებთან, რომლებსაც მტრებად აღიქვამდნენ.</p>
<p>ყოფილი ძალადობრივი ექსტრემისტებისთვის დახმარების გაწევა იმისათვის, რომ გააზიარონ ძალადობრივი ექსტრემისტული ჯგუფების მიტოვების გამოცდილება და წახალისონ სხვებიც აღნიშნული მოქმედებისთვის.</p>	<p>დახმარების და მხარდაჭერის შეთავაზება ძალადობრივი ექსტრემისტებისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის იდეოლოგიის მიმართ კეთილგანწყობილი ახალგაზრდებისთვის, რომელთაც სურთ კონფლიქტიდან გამოსვლა და რადიკალიზებული გარემოს დატოვება.</p>

რეაბილიტაცია	რეინტეგრაცია
<p>საპატიმრო დაწესებულებებში ძალადობრივ ექსტრემისტ დამნაშავეებზე დაკვირვება იმ სამოტივაციო იდეოლოგიისა და სტრატეგიების იდენტიფიცირებისთვის, რომლებსაც ისინი იყენებდნენ თავიანთი დანაშაულის გამართლების მიზნით, ასევე გათავისუფლებამდე მათთვის სათანადო კონსულტაციების შეთავაზება, ამგვარი გამართლების რეალური ბუნების დანახვასა და სანაცვლოდ უკეთესი ალტერნატივების მოძიებაში დახმარებისთვის.</p>	<p>ყოფილი ძალადობრივი ექსტრემისტების საზოგადოებაში რეინტეგრაციის ხელშეწყობა არაძალადობრივი პოლიტიკური მონაწილეობისა და საზოგადოებაში პოზიტიური საქმიანობის წახალისების გზით.</p>
<p>ტერორიზმში ბრალდებული ან მსჯავრდებული პატიმრების, აგრეთვე რადიკალიზაციის მიმართ მოწყვლადი სხვა პატიმრებისთვის სათანადო სწავლების ჩატარება, პრობლემების და კონფლიქტების მოგვარებაში დახმარების აღმოჩენის მიზნით. ეს გულისხმობს დანაშაულის გარეშე ცხოვრების წესის არჩევას, ყოფილი პატიმრების გარემოცვის ჩართვას და იმ სირთულეების გადალახვაში დახმარებას, რომელთა წინაშეც ისინი აღმოჩნდებიან გათავისუფლების შემდეგ.</p>	<p>თემებთან მუშაობა, უცხოელი მეზობლების ან დაბრუნებული პირების ოჯახების ბავშვების სტიგმატიზაციის პრევენციის მიზნით, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მათი მარგინალიზაცია ან თუნდაც მათი წახალისება, გაჰყვნენ თავიანთ ახლობლებს ძალადობრივი ექსტრემიზმის გზაზე.</p>
<p>დაბრუნებული უცხოელი მეზობლებისთვის ალტერნატიული მიდგომების შეთავაზება კონფლიქტების მოგვარებისა და პოსტტრავმულ სტრესთან დაკავშირებით დახმარების საკითხებში.</p>	<p>ძალადობრივი ექსტრემისტული ჯგუფებიდან დაბრუნებული პირების დახმარება საზოგადოებაში მათი სტატუსის აღდგენაში, მათი რადიკალიზაციისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის აქტიურ მოწინააღმდეგებად ჩამოყალიბების მხარდაჭერის გზით.</p>